



იუსტიციის
უმაღლესი სკოლა

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო

იუსტიციის მსმენელთა XIII ჯგუფის სასწავლო პროგრამა

10-თვიანი და 6-თვიანი სასწავლო კურსი

2016 წელი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია იუსტიციის მსმენელთა – მოსამართლედ გასამწესებელ პირთა თეორიული ცოდნის გაღრმავება და სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ამოცანა

პროგრამის ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, იუსტიციის მსმენელთა თეორიული და პრაქტიკული სწავლება და სამოსამართლო გარემოში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სასწავლო მიმართულებები:

თეორიული და პრაქტიკული სწავლება მოიცავს შემდეგ ძირითად თემატურ მიმართულებებს:

- ა) საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- ბ) საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში;
- გ) საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში;
- დ) სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში კვალიფიკაციის საკითხები;
- ე) სასამართლო განხილვისას საპროცესო დოკუმენტის (გადაწყვეტილების) მომზადება;
- ვ) ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;
- ზ) პროფესიული ეთიკა;
- თ) უცხო ენა.

თეორიული სწავლების კურსის, სტაჟირების და სემინარული მუშაობის დეტალური პროგრამა განისაზღვრება დანართით სკოლის დირექტორს უფლება აქვს ამ პროგრამის დანართით განსაზღვრული საგნებისა და მიმართულებების ფარგლებში, საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს დამატებითი თემატიკა და დამხმარე დისციპლინები.

იუსტიციის მსმენელთა სწავლების განრიგი განისაზღვრება ამ პროგრამის დანართით, ხოლო იუსტიციის მსმენელთა თეორიული კურსის დეტალურ სასწავლო კალენდარს ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

პროგრამის დანართით დამტკიცებული სასწავლო აქტივობების თანმიმდევრობა და მის წარმართვაზე პასუხისმგებელი სკოლის მასწავლებლები (იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული მასწავლებლები) განიზღვრება სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მასწავლებლის ჩანაცვლება მოხდება მხოლოდ დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის სხვა მასწავლებლით. სკოლის

დირექტორის გადაწყვეტილებით, სასწავლო აქტივობის განხორციელებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს მოწვეულმა სპეციალისტმა.

პროგრამის ეტაპები:

ეს პროგრამა შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- ✓ თეორიული კურსი;
- ✓ სტაჟირება;
- ✓ სემინარული მუშაობა.

თეორიული კურსი

თეორიული კურსის ხანგრძლივობაა (როგორც 10-თვიანი, ასევე 6-თვიანი სასწავლო კურსისთვის) 5 თვე, რომლის განმავლობაშიც იუსტიციის მსმენელები საფუძვლიანად შეისწავლიან სამართლის სხვადასხვა დარგს და შეიძენენ მოსამართლისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

თეორიული კურსი წარიმართება სალექციო და პრაქტიკული მუშაობით.

სალექციო მუშაობა

სალექციო მუშაობის მიზანია დეტალურად იქნას განხილული თემის არსი, მნიშვნელობა, მიზანი, დანიშნულება, განვითარების ისტორია, ძირითადი ტენდენციები და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი გამოცდილება.

სალექციო მუშაობის ფარგლებში მიზანშეწონილია საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითება და შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოყენება. სალექციო მუშაობა კავშირში უნდა იყოს არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან და ნორმის ინტერპრეტაციის ტენდენციებთან.

სალექციო მუშაობა აგებული უნდა იყოს ინტერაქტიულ მეთოდებზე, რომლის დროსაც იუსტიციის მსმენელს შესაძლებლობა ექნება მიმოიხილოს არსებული თეორიები და შესაბამისი პრაქტიკა, აგრეთვე წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

სალექციო მუშაობის ინტერაქტიულად წარმართვისათვის გაიმართება **დისკუსიები**, რომლის მიზანია: იუსტიციის მსმენელთა ანალიტიკური აზროვნების უნარის გადრმავეება; აზრის მკაფიოდ გამოხატვისა და მისი სამართლებრივი არგუმენტებით გამყარების უნარის დახვეწა; განსხვავებული შეხედულებების მოსმენისა და პატივისცემის კულტურის განვითარება; მიღებული ინფორმაციის ათვისებისა და გაანალიზების ხელშეწყობა.

სასწავლო მასალის უკეთ ათვისების მიზნით, იუსტიციის მსმენელებს პერიოდულად მიეცემათ **საშინაო დავალებები**, რომელიც შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ინდივიდუალური ან ჯგუფური.

სალექციო კურსის ფარგლებში გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. სალექციო მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს თეორიული სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი მთლიანი დროის **40%-ს**.

პრაქტიკული მეცადინეობა

პრაქტიკული მეცადინეობის მიზანია, სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების გზით, იუსტიციის მსმენელის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავება.

პრაქტიკული მეცადინეობის ფარგლებში, იუსტიციის მსმენელები მუშაობენ კაზუსებზე, მონაწილეობენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, განიხილავენ და აანალიზებენ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს, ადგენენ შესაბამის საპროცესო დოკუმენტებს და ახორციელებენ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა მოქმედებებს.

პრაქტიკული მეცადინეობის ინტერაქტიულად წარმართვისათვის გაიმართება **დისკუსიები**, რომლის მიზანია: იუსტიციის მსმენელთა ანალიტიკური აზროვნების უნარის გაღრმავება; აზრის მკაფიოდ გამოხატვისა და მისი სამართლებრივი არგუმენტებით გამყარების უნარის დახვეწა; განსხვავებული შეხედულებების მოსმენისა და პატივისცემის კულტურის განვითარება; სალექციო მუშაობისა და პრაქტიკული მეცადინეობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ათვისებისა და გაანალიზების ხელშეწყობა.

პრაქტიკულ მეცადინეობაში მაქსიმალური ჩართულობისთვის, იუსტიციის მსმენელს შეიძლება პერიოდულად მიეცეს **დავალებები**. თემის სხვადასხვა კუთხით გაანალიზებისთვის, იმიტირებული პროცესების დროს იუსტიციის მსმენელმა როგორც წესი, უნდა შეასრულოს პროცესის სხვადასხვა სუბიექტის როლი.

სალექციო კურსის ფარგლებში გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. პრაქტიკული მეცადინეობა უნდა მოიცავდეს სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი მთლიანი დროის არანაკლებ, **60%-ს**.

თეორიული კურსის დასასრულს, იუსტიციის მსმენელი აბარებს თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდას იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სტაჟირება

თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ, იუსტიციის მსმენელი გაივლის სავალდებულო სტაჟირებას საერთო სასამართლოებში. 10-თვიანი სასწავლო კურსისთვის სავალდებულო სტაჟირების პერიოდია 4 თვე, ხოლო 6-თვიანი სასწავლო კურსისთვის – ნახევარი თვე. იუსტიციის მსმენელის სავალდებულო სტაჟირებას წარმართავს და ზედამხედველობს სტაჟირების კოორდინატორი.

იუსტიციის მსმენელის სურვილის შემთხვევაში, სავალდებულო სტაჟირების გარდა, იუსტიციის მსმენელმა შეიძლება დამატებით გაიაროს ალტერნატიული სტაჟირება. სკოლის დირექტორის წარდგინებით, ალტერნატიული სტაჟირების ადმინისტრაციული ორგანოების ჩამონათვალს ამტკიცებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.

სავალდებულო სტაჟირებისას, იუსტიციის მსმენელი დეტალურად შეისწავლის სასამართლოს საქმიანობის ეტაპებს და ასრულებს სტაჟირების კოორდინატორის დავალებებს. სტაჟირებისას, იუსტიციის მსმენელი ვალდებულია ჩაინიშნოს ის საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც მას სჭირდება დამატებითი ინფორმაცია, რათა შემდგომში სტაჟირების კოორდინატორთან ან/და სემინარის მასწავლებელთან იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებზე.

სტაჟირების კოორდინატორი იუსტიციის მსმენელს ყოველდღიურად აძლევს დავალებას, რომელიც მსმენელმა უნდა შეასრულოს განსაზღვრული დროის განმავლობაში. დავალება სრულდება წერილობითი ფორმით და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების შედგენა; სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტის მომზადება; სასამართლოს საპროცესო დოკუმენტების პროექტების ანალიზი და მათზე დასკვნის მომზადება. სტაჟირების პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, იუსტიციის მსმენელი უნდა დაესწროს სასამართლო სხდომებს.

სტაჟირების კოორდინატორი ვალდებულია, სხვა დავალებებთან ერთად, იუსტიციის მსმენელს პერიოდულად დაავალოს სასამართლო გადაწყვეტილების შედგენა. სტაჟირების კოორდინატორი იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით დადგენილი წესით, ყოველდღიურად, ქულობრივად აფასებს იუსტიციის მსმენელის მიერ შესრულებულ სამუშაოს. სტაჟირების კოორდინატორი სტაჟირების დასასრულს, მასთან გამწესებულ იუსტიციის თითოეულ მსმენელზე ადგენს რეკომენდაციას (იუსტიციის მსმენელის დახასიათების ფორმა), აგრეთვე სტაჟირების ხელმძღვანელს წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების პროგრამის შესრულების შესახებ. სტაჟირების კოორდინატორი, სტაჟირების პროცესში ხელმძღვანელობს „სტაჟირების კოორდინატორთა სახელმძღვანელო დოკუმენტით (სტაჟირების სტანდარტი)“, რაც უზრუნველყოფს სტაჟირების პროცესში ერთიანი მიდგომის დანერგვას.

მსმენელი ვალდებულია დაიცვას სასამართლო პროცესის მონაწილე სუბიექტებთან დაკავშირებული იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლოში სტაჟირების პროცესში.

იუსტიციის მსმენელის მიერ მომზადებული არცერთი დოკუმენტი არ გამოიყენება სასამართლოს საქმიანობაში და იგი მიზნად ისახავს მხოლოდ იუსტიციის მსმენელის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა ვალდებულია, სტაჟირების კოორდინატორის მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს სტაჟირების გავლისათვის აუცილებელი საკანცელარიო საქონელით მომარაგება.

იუსტიციის მსმენელის ყოველდღიური შეფასება აისახება სტაჟირების საბოლოო შეფასებაზე, ხოლო სტაჟირების კოორდინატორის რეკომენდაციას (დახასიათების ფორმა) დამოუკიდებელი საბჭო ითვალისწინებს შეფასების შედგენისას.

სავალდებულო სტაჟირების დასასრულს, იუსტიციის მსმენელი ადგენს წერილობით ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე წერს ნაშრომს სტაჟირების ორგანოს ფუნქციონირების, იქ არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების თაობაზე. წერილობითი ანგარიში და ნაშრომი წარედგინება სტაჟირების ხელმძღვანელს, ილუქება და ერთვის იუსტიციის მსმენლის პირად საქმეს.

სემინარული მუშაობა

სტაჟირების დასრულების შემდეგ, იუსტიციის მსმენელი გაივლის სემინარულ მუშაობას. 10-თვიანი სასწავლო კურსისთვის სემინარული მუშაობის ხანგრძლივობაა 1 თვე, ხოლო 6-თვიანი სასწავლო კურსისთვის – ნახევარი თვე. სემინარულ მუშაობას წარმართავს სკოლის მასწავლებელი ან მოწვეული სპეციალისტი.

სემინარული მუშაობის მიზანია თეორიული კურსისა და სტაჟირების დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განზოგადება, აგრეთვე იუსტიციის მსმენელის მომზადება სკოლის დამამათავრებელი გამოცდისთვის. სემინარული მუშაობის დროს იუსტიციის მსმენელს ეძლევა პრაქტიკული დავალებები (კაზუსების საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადება, სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტაციის შედგენა, იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვა და სხვ.).

სემინარის ხელმძღვანელი, სემინარული მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს „სემინარის ხელმძღვანელთა სახელმძღვანელო დოკუმენტით (სემინარული მუშაობის სტანდარტი)“ რაც უზრუნველყოფს სემინარული მუშაობის პროცესში ერთიანი მიდგომის დანერგვას.

სემინარული მუშაობის დასასრულს, სემინარის ხელმძღვანელი თითოეულ მსმენელზე ადგენს სემინარული მუშაობის აღწერის ფორმას, რომელსაც გაითვალისწინებს დამოუკიდებელი საბჭო შეფასების შედგენისას.

უცხო ენის შესწავლა

იუსტიციის მსმენელები სწავლის პერიოდში შეისწავლიან ინგლისურ ენას. 10-თვიანი სასწავლო კურსის ფარგლებში, იუსტიციის მსმენელი გადის ინგლისური ენის არანაკლებ, 7-თვიან სწავლებას, ხოლო 6-თვიანი სასწავლო კურსის ფარგლებში არანაკლებ, 4-თვიან სწავლებას. ინგლისური ენის სწავლება არ ტარდება იუსტიციის მსმენელთა სემინარული მუშაობის პერიოდში.

ინგლისური ენის ცოდნის დონის მიხედვით, იუსტიციის მსმენელები დაიყოფიან ჯგუფებად და შეისწავლიან ინგლისურ ენას განსხვავებული პროგრამით. სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს კვირაში არანაკლებ 2-ჯერ, საჭიროებისამებრ, შაბათის ჩათვლით. თითოეული მეცადინეობის ხანგრძლივობაა – არანაკლებ, ორი საათი. ინგლისური ენის სწავლების ფარგლებში, ცოდნის დონის შემოწმების მიზნით, იუსტიციის მსმენელები გადიან შუალედურ და დამამთავრებელ შეფასებებს.

სკოლის დამამთავრებელი გამოცდა

სწავლების დასასრულს, მსმენელი აბარებს სკოლის დამამთავრებელ გამოცდას. თითოეულ მსმენელს ეძლევა რეალური საქმე საქართველოს სასამართლოების პრაქტიკიდან, რომელიც მსმენელმა უნდა წაიკითხოს, გაანალიზოს და მიიღოს გადაწყვეტილება. სკოლის დამამთავრებელი გამოცდა ტარდება სკოლის წესდებით დადგენილი წესით. დამამთავრებელი გამოცდა აფასებს არამხოლოდ იმას თუ რამდენად კარგად შეისწავლა მსმენელმა პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები, არამედ თუ რამდენად შეუძლია მსმენელს დროის მცირე მონაკვეთში ხარისხიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

გამოცდის ჩატარების წესი და პირობები, ასევე გამოცდის შედეგების შეფასების სისტემა განისაზღვრება „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სკოლის წესდებით.

იუსტიციის მსმენელთა თეორიული სწავლების კურსი

თბილისი, 2016 წ.

იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი) თეორიული სწავლების კურსი იწყება 2016 წლის 21 ნოემბერს და დასრულდება 2017 წლის 21 აპრილს. პერიოდი ასევე, მოიცავს თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდას.

თეორიული სწავლების კურსი ხორციელდება ყოველდღიურად (საჭიროების შემთხვევაში, შაბათ-კვირის ჩათვლით), 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შუალედში ერთი – ერთსაათიანი და ორი – 15-წუთიანი შესვენებით.

ზოგადი საკითხები

#	თემა	ხანგრძლივობა
1	მოსამართლის ეთიკა და პროფესიული ქცევის სტანდარტები	ერთი დღე
2	წარმატების მიღწევის უნარები	სამი დღე
3	გამოყენებითი ფსიქოლოგია; სასამართლოში ზრდასრულ ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგია	ორი დღე
4	მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები	ერთი დღე
5	ნორმის განმარტება	ორი დღე

საკონსტიტუციო სამართალი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	კონსტიტუციური უფლებები და კონსტიტუციური კონტროლი	ერთი დღე
2	კონსტიტუციური წარდგინება	ერთი დღე
3	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები)	ორი დღე

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სამართალი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები	ერთი დღე
2	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული სამართალი	ხუთი დღე
3	დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა	ერთი დღე
4	მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით	ერთი დღე

სამოქალაქო სამართალი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	ორი დღე
2	გარიგებანი	ერთი დღე
3	ვალდებულებითი სამართალი	ორი დღე
4	ხელშეკრულებები	ოთხი დღე
5	კანონისმიერი ვალდებულებები	ორი დღე
6	საოჯახო სამართალი	ორი დღე
7	სამემკვიდრეო სამართალი	ორი დღე
8	სამეწარმეო (საკორპორაციო) სამართალი	ორი დღე
9	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	ერთი დღე
10	საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“	ერთი დღე
11	შემაჯამებელი დისკუსია სამოქალაქო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით	ერთი დღე

სამოქალაქო სამართლის პროცესი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	სამოქალაქო საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	სამი დღე
2	სამოქალაქო საქმეების წარმოება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში	ერთი დღე
3	რელაციის და სუბსუმციის ტექნიკები	ორი დღე
4	მედიაცია და სასამართლო მორიგება	ერთი დღე
5	შემაჯამებელი დისკუსია სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით	ერთი დღე

ადმინისტრაციული სამართალი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი	ორი დღე
2	ინფორმაციის თავისუფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა	ერთი დღე
3	ადმინისტრაციული ხელშეკრულება	ერთი დღე
4	ადმინისტრაციული წარმოების სახეები	სამი დღე
5	ადმინისტრაციული საჩივარი	ერთი დღე
6	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება; ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა	ერთი დღე
7	შემაჯამებელი დისკუსია ადმინისტრაციული სამართალის საკითხებთან დაკავშირებით	ერთი დღე

ადმინისტრაციული სამართლის პროცესი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	ადმინისტრაციული საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	ორი დღე
2	ადმინისტრაციული საქმეების წარმოება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში	ერთი დღე
3	ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით	ერთი დღე
4	ადმინისტრაციული წარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით	ერთი დღე
5	ადმინისტრაციული წარმოება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით	ერთი დღე
6	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება	ორი დღე
7	შემაჯამებელი დისკუსია ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხებთან დაკავშირებით	ერთი დღე

ზოგადი საგნები

#	თემა	ხანგრძლივობა
1	გადაწყვეტილების დასაბუთება	ორი დღე
2	სამართლებრივი წერა	ერთი დღე
3	მოსამართლის გამართული მეტყველება – საორატორო ხელოვნება	ერთი დღე
4	მოსამართლის მიერ დოკუმენტების გამართული ენით წერა	ერთი დღე

საგადასახადო სამართალი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	საგადასახადო სამართალი	ოთხი დღე

სისხლის სამართალი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და დანაშაულის კატეგორიები	ერთი დღე
2	ბრალის საკითხი სისხლის სამართალში	ერთი დღე
3	სასჯელი	ერთი დღე
4	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება	ერთი დღე
5	დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ	ერთი დღე
6	დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	ერთი დღე
7	ეკონომიკური დანაშაული	ერთი დღე
8	ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვა	ერთი დღე
9	შემაჯამებელი დისკუსია სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით	ერთი დღე

სისხლის საპროცესო სამართალი

#	თემა	ხანგრძლივობა
1	საპროცესო მოქმედებები, რომელთაც ადგილი აქვთ სასამართლოში საქმის განხილვამდე	ერთი დღე
2	აღკვეთის ღონისძიებები	ერთი დღე

3	მტკიცებულებანი და მტკიცებულებათა შეფასება	ერთი დღე
4	საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი	ერთი დღე
5	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	ერთი დღე
6	განაჩენი, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსრულება	ერთი დღე
7	საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში	ერთი დღე
8	სისხლის სამართლის საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	ორი დღე
9	სისხლის სამართლის საქმეების წარმოება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში	ერთი დღე
10	განაჩენის დასაბუთება; სამართლებრივი მართლწერა	ორი დღე
11	ოჯახში ძალადობა (მათ შორის ზღვარი ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შორის; შემაკავებელი და დამცავი ორდერი)	ერთი დღე
12	შემაჯამებელი დისკუსია სისხლის საპროცესო სამართლის საკითხებზე	ერთი დღე

ზოგადი საგნები

#	თემა	ხანგრძლივობა
1	სასამართლო პროცესზე კომუნიკაცია და სხდომის წარმართვის ტექნიკა	ორი დღე

დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებული სასწავლო აქტივობები

იუსტიციის მსმენელთა სწავლების კურსის განმავლობაში, დამატებით შეიძლება განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და დონორი ორგანიზაციების მიერ ერთობლივად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, რომლის თემატიკას და განრიგს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

დამამთავრებელი გამოცდა

იუსტიციის მსმენელთა თეორიული სწავლების კურსის დამამთავრებელი გამოცდის თარიღის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.

სტაჟირების პროგრამა (6-თვიანი სასწავლო კურსისთვის)

2016 წლის იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი) სავალდებულო სტაჟირების პროგრამა იწყება 2017 წლის 24 აპრილს და დასრულდება 2017 წლის 9 მაისს. სტაჟირება განხორციელდება ყოველდღიურად, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შუალედში ერთი – ერთსაათიანი შესვენებით (საჭიროების შემთხვევაში, შაბათ-კვირის ჩათვლით).

იუსტიციის მსმენელი, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებული იქნება თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე (დამატებით თეორიულ გამოცდაზე) და წარმატებით ჩააბარებს მას, ნახევართვიან სტაჟირებას გაივლის სკოლის დირექციის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

იუსტიციის მსმენელმა, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნა თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე, აგრეთვე მსმენელმა, რომელიც სტაჟირებაზე არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, სტაჟირება შეიძლება გაიაროს შაბათ-კვირის დღეებშიც. სტაჟირების დღეების განრიგი სტაჟირების კოორდინატორთან შეთანხმებით დგინდება სკოლის დირექციის მიერ.

სტაჟირების პროგრამა (10-თვიანი სასწავლო კურსისთვის)

2016 წლის იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი) სავალდებულო სტაჟირების პროგრამა იწყება 2017 წლის 24 აპრილს და დასრულდება 2017 წლის 24 აგვისტოს. სტაჟირება განხორციელდება ყოველდღიურად, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შუალედში ერთი – ერთსაათიანი შესვენებით (საჭიროების შემთხვევაში, შაბათ-კვირის ჩათვლით).

სკოლის წესდებით დადგენილი სავალდებულო სტაჟირების დღეების გავლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის მსმენელი სტაჟირებას ასევე, გადის შაბათ-კვირის დღეებში.

იუსტიციის მსმენელი, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებული იქნება თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე (დამატებით თეორიულ გამოცდაზე) და წარმატებით ჩააბარებს მას, ოთხთვიან სტაჟირებას გაივლის სკოლის დირექციის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

იუსტიციის მსმენელმა, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნა თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე, აგრეთვე მსმენელმა, რომელიც სტაჟირებაზე არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, სტაჟირება შეიძლება გაიაროს შაბათ-კვირის დღეებშიც. სტაჟირების დღეების განრიგი სტაჟირების კოორდინატორთან შეთანხმებით დგინდება სკოლის დირექციის მიერ.

სემინარული მუშაობის პროგრამა (6-თვიანი სასწავლო კურსისთვის)

2016 წლის იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი) სემინარული მუშაობის პროგრამა იწყება 2017 წლის 10 მაისს და დასრულდება 2017 წლის 21 მაისს. სემინარული მუშაობა ჩატარდება ყოველდღიურად (საჭიროების შემთხვევაში, შაბათ-კვირის ჩათვლით), 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შუალედში ერთი – ერთსაათიანი და ორი – 15-წუთიანი შესვენებით.

სემინარული მუშაობა დაიყოფა 3 ეტაპად, კერძოდ:

1. სისხლის სამართლის სემინარები – 4 დღე

საპროცესო დოკუმენტების შედგენა, კაზუსების საფუძველზე გადაწყვეტილებების მომზადება, მათი დასაბუთება, დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებზე მსჯელობა და სხვ. სემინარების დროს მსმენელები პრაქტიკულად გამოიყენებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეიძინეს თეორიული კურსისა და სტაჟირების პროცესში. სემინარების დროს გაგრძელდება იმიტირებული სასამართლო პროცესები, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

2. სამოქალაქო სამართლის სემინარები – 4 დღე

საპროცესო დოკუმენტების შედგენა, კაზუსების საფუძველზე გადაწყვეტილებების მომზადება, მათი დასაბუთება, უდავო წარმოების საქმეებზე საპროცესო დოკუმენტების მომზადება და სხვ. სემინარების დროს მსმენელები პრაქტიკულად გამოიყენებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შეიძინეს თეორიული კურსისა და სტაჟირების პროცესში. სემინარების დროს გაგრძელდება იმიტირებული სასამართლო პროცესები, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

3. ადმინისტრაციული სამართლის სემინარები – 4 დღე

საპროცესო დოკუმენტების შედგენა, კაზუსების საფუძველზე გადაწყვეტილებების მომზადება, მათი დასაბუთება და სხვ. სემინარების დროს მსმენელები პრაქტიკულად გამოიყენებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შეიძინეს თეორიული კურსისა და სტაჟირების პროცესში. სემინარების დროს გაგრძელდება იმიტირებული სასამართლო პროცესები, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

სემინარული მუშაობის პროგრამა (10-თვიანი სასწავლო კურსისთვის)

2016 წლის იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი) სემინარული მუშაობის პროგრამა იწყება 2017 წლის 25 აგვისტოს და დასრულდება 2017 წლის 21 სექტემბერს. სემინარული მუშაობა ჩატარდება ყოველდღიურად (საჭიროების შემთხვევაში, შაბათ-კვირის ჩათვლით), 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შუაღამის შემდეგ ერთი – ერთსაათიანი და ორი – 15-წუთიანი შესვენებით.

სემინარული მუშაობა დაიყოფა 3 ეტაპად, კერძოდ:

1. სისხლის სამართლის სემინარები – 6 დღე.

საპროცესო დოკუმენტების შედგენა, კაზუსების საფუძველზე გადაწყვეტილებების მომზადება, მათი დასაბუთება, დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებზე მსჯელობა და სხვ. სემინარების დროს მსმენელები პრაქტიკულად გამოიყენებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შეიძინეს თეორიული კურსისა და სტაჟირების პროცესში. სემინარების დროს გაგრძელდება იმიტირებული სასამართლო პროცესები, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

2. სამოქალაქო სამართლის სემინარები – 6 დღე.

საპროცესო დოკუმენტების შედგენა, კაზუსების საფუძველზე გადაწყვეტილებების მომზადება, მათი დასაბუთება, უდავო წარმოების საქმეებზე საპროცესო დოკუმენტების მომზადება და სხვ. სემინარების დროს მსმენელები პრაქტიკულად გამოიყენებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შეიძინეს თეორიული კურსისა და სტაჟირების პროცესში. სემინარების დროს გაგრძელდება იმიტირებული სასამართლო პროცესები, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

3. ადმინისტრაციული სამართლის სემინარები – 6 დღე.

საპროცესო დოკუმენტების შედგენა, კაზუსების საფუძველზე გადაწყვეტილებების მომზადება, მათი დასაბუთება და სხვ. სემინარების დროს მსმენელები პრაქტიკულად გამოიყენებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შეიძინეს თეორიული კურსისა და სტაჟირების პროცესში. სემინარების დროს გაგრძელდება იმიტირებული სასამართლო პროცესები, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

სკოლის დამამთავრებელი გამოცდა

სწავლების დასასრულს, ტარდება სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. დამამთავრებელი გამოცდის თარიღის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.